

საქ. მეზღვრე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ მ.გ.განცხადების საშუალებად, რომ ნომერის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.

პარტიის მთავარი კომიტეტი

განცხადების საშუალები:

- საერთაშორისო მდგომარეობა.
- დამოკიდებულება კომპარტიასთან.
- მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
- სარკეში კომისიის მოხსენება.
- მოხსენებანი ადგილებიდან.
- მიმდინარე საქმეები.
- არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გაგზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

კომპარტიის და ომები

თანამედროვე ხანა ხასიათდება გამწვავებული ურთიერთობით. გამწვავებული ურთიერთობა სახელმწიფოთა შიგნით. სოციალური ჯგუფები სამკერდო სასიცოცხლოდ უზირდაპირდებიან ერთმანეთს, გამწვავებული მდგომარეობა სახელმწიფოთა შორის. ასეთივე მდგომარეობა როგორც კოალიცი-აში მყოფ ძალთა შორის, ისე თვით დაპირისპირებულ კოალიციებში.

კოალიციები უზირისპირდებიან მეტროპოლიტებს, აზია ევროპას, ამერიკა ორივეს ერთად, საბჭოთა რესპუბლიკები მთელ კაპიტალისტურ ქვეყანას და სხ. და სხ.

კაპიტალიზმის თანამედროვე საფეხური იქცა რევრსიულ, რეტროგრადულ მოვლენად. ამ ღრმა სოციალურმა კრიზისმა წარმოშვა წინააღმდეგობანი რომელსაც თავს ეღიარა ალწვეს თანამედროვე მსოფლიო.

მსოფლიო ომის შედეგია ეს ანარქიული და ქაოტიური მდგომარეობა, მაგრამ მსოფლიო ომი თვით შედეგია იმ პროცესის, რომელიც იმპერიალი-სტურთა პოლიტიკის ხასიათი მიეზღვრება საერთაშო-რისო პოლიტიკაში. ამ ეპოქაში ადგილი აქვს რე-ვოლუციებს, ომებს, დიდი ომი და დიდი რევო-ლიუცია ჩატარდა, ხოლო კიდევ მისალოდნელი დიდი ომებისა და დიდი რევოლუციების წინაშე ვიმყოფებით.

არც ომი ფაქტურად დასრულებული, არც რევოლუცია ფაქტურად დამთავრებული ორივე ბუმბერაზი მოვლენა კიდევ სცხოვრობს, ორივე მო-ვლენა იზრდება და ვითარდება.

დღეს გაცილებით მეტი პირობებია ომისა-თვის, ვიდრე ოდესმე, დღეს გაცილებით მეტი სამხედრო მასალა ასამუშავებელი ვიდრე წინათ, ასე-თივე რევოლუციის საქმეც დღეს გაცილებით ძლი-ერია რევოლუციონური ძალები, ვიდრე იყო გუ-

ბრძოლა თუ სიკვდილი?

ჩვენი მოვალეობა.

გერმანიის მდგომარეობა მწვავედგება. ყველა ნიშნებით, რომ რეაქცია დღეს ახერხებს საქსონიას-თან ერთად ტერიტორიის იზოლიაციას, ჩაღრმობას. ჩვენი საზოგადოების ფაშისტური ელემენტები უკვე განგაშობენ:

— აქი ვამბობდით, გერმანიის ხალხი რუ-სის მუტაციები კი არ არიან ქვეყანა დააქციონ და არიენ-დარიონო. გერმანელები კულტურული ხალ-ხია მათი პსიხოლოგიური და ინტელექტუალური წყობილებანი მაღალ კულტურის დისციპლინებზეა აღზრდილი, იქ რევოლუციაც სხვა და რეაქციაც, ჩვენი ცხოველების ინტელექტუალური, იქ კი—ადა-მიანების, ჩვენ დემოკრატია ვერ გაცილებივართ, როცა იქ სულის არისტოკრატიაა გამეფებული. იქაური რევოლუცია დინჯია და ევოლუციის ემ-სახურება, ჩვენი რევოლუცია გიჟურია და დისი-ლიაციის ემსახურება. ერთი სიტყვით, ააყენეთ კი-უვე, ლამაზი, ჟოფრუა სენტ-ილერი და სხ., აღ-ჭურვეთ ისინი მათთვის საყვარელ ანტროპომეტრი-ული იარაღებით და გარწმუნებთ, თუ ჩვენს ფაშ-ისტურ ელემენტებს დაუჯერებთ, ხვალ ჩვენი წი-ნაპარები ადამიანის და ძალის შეუღლებიდან იქ-ნებიან წამომდგარი, როგორც ამას პაუზები და აინესები ფიქრობენ თავიანთ წარსულის შესა-ხებ.

ნამდვილად კი გერმანეთში არავითარი ნოუ-მენალური მოვლენა არ არის, ხდება სრულიად ჩვე-ულნობრივი სოციალური ამბავი, რომლის შესწავ-ლისათვის კრანეოლოგია კი არ არის საჭირო, არამედ კარგად მომარჯვებული სოციოლოგიური

გერმანიის კომპარტიის პიტიარება

(რადიოთი)

გაზეთი „პრავდა“ ს მოწინავე წერილში ამხ. ზინოვიევი წერს: „გერმანიის რევოლუცია განიც-დის ყველაზე უფრო მკაცრ ხანას. ავეისტოს გა-ფიცების დროს გაქარწყლდა უთანხმოების მშვი-დობიანად მოგვარების იმედი. ეხლა გაქარწყლდა იმის იმედიც, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრა-ტია მხარს დაუჭერს მემარჯვენე პროლეტარიატს. უკანასკნელი ამბები ყველას ასწავლის „კუჟას“. ამხ. ზინოვიევი დაწვრილებით არჩევს მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მოქმედებას ჰამბურგის აჯანყებასა და საქსონიის მიმართ და აღნიშნავს, რომ მათი მოქმედება არის შრომის მშვენიერი ლაღატი. „გერმანიის ეხლანდელი გავე-თილები საქმათა იმისათვის, რომ საუკუნოთ განი-კურნოს გერმანიის კომუნისტები და ყველა ჩვენ იმ შეხედულებისაგან, თითქოს სოციალ-დემოკრატია განსაკუთრებით კი მემარცხენე, არის მუშათა პარტია.“

გერმანიის პროლეტარიატის მთავარი ძალები საბრძოლველად ჯერ არ გამოსულან. მუშების გა-მოსვლები ცალკე ქალაქებში, რაიც ხშირად ხდე-ბოდა გერმანიის კომპარტიის გარეშე, ამოწმებს იმას, რომდენათ გამწვავებულია მდგომარეობა. მუ-შების სურვილი შეიარაღებისა მხოლოდ ეხლა იღებს მასიურ ხასიათს გადამწყვეტი ბრძოლა ჯერჯერო-ბით გადაიდგა, მაგრამ იმ მოხდება აუცილებლოვ. ჩვენი დღის უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანას უნდა შეადგენდეს გერმანიის სოციალ-დემოკრა-ტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის გაველნის მოსპობა და მით მუშათა გამარჯვებისათვის გზის გაწმენდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ფაშის-ტებს გაუწმენდა გზა ძალა-უფლების ხელში ჩასა-ღდებად. ფაშისტები სოციალ-დემოკრატების დასა-რბივი პროლეტარულ ცენტრებში დაძაღ მუშებს ქულებს. მაგრამ გერმანია არ არის იტალია. გერმანიის ფაშისტ, გერმანიის სოციალ-დემოკრა-ტიამაც რომ დაუჭიროს მხარი, არ შეუძლია იმ სა-კითხვების გადაჭრა, რომლებიც წამოჭრილნი არიან გერმანიის წინაშე.

გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საერთაშორისო კვანძი უფრო და უფრო ისვენება. გერმანიის ეკონომიური მავრმა-რობა გაუმჯობესების მაგივრად უფრო გაუარესდა. რევოლუციის ძირითადი მიზნები არ გამჭრალა, უკანასკნელი იმედების დაკარგვით გერმანიის პრო-

ზორდება და მომქმედი ძალები ტანკებზე ოცნებო-ბენ. საერთაშორისო ომმა 45 სანტიმეტრიანი ზარ-ბანები მოითხოვა და მოშაბული გაზები მიუშვა მოწინააღმდეგე ძალებზე. საერთაშორისო რევო-ლიუცია საერთაშორისო ომზე გაცილებით საშიშა-რია კაპიტალისტური მსოფლიოსათვის და ისინი ამ ძალის ჩასაჭობად ზოდიკალურ სინათლეს და ცის აეროლიტებს დედაიშვის დამანგრეველ ნაღმებს ასროლიდნენ.

ერთი რამ ყველამ უნდა დაიხსინოს: რამდენ-დაც რევოლუცია დასავლეთისაკენ მიიმართება, იმდენადვე ის დარაზმულ გიგანტების სამფლობე-ლოში შედის, ლილიუტები და პარტიზანები მყის-ვე ქრებიან და ლიუდენლოფენს, გინდერბურგებს პროლეტარიატის იარაღში ჩამსდარი ჯარი უხე-დებათ.

ეს არის საშინელი ქირურგიული აპერაცია, როცა ბერლინის, მიუნხენის, ჰამბურგის, ლეიპცი-გის და სხ. განძები ძველი წყობილების ქსელით დაბურული საჭიროა დაფხრის; დაიკაწროს, გა-ნიადვს, რომ ისტორიის ანაღლებში შემდეგ ახალი ეპოქის ახალი ისტორია შეიქმნეს. ისტორიის სხვა ლოდიკა არ აქვს—გერმანიის მომავალს ემზადება რევოლუციონური გენეოლოგია.

მომენტის სიმძიმე დღესაც ისევ რუსეთია და არა გერმანეთი. გერმანეთი რუსეთის ავანპოსტია არსებითად, თუმცა ამ უკანასკნელს ნოსკეს მეორე ტიპი წამოჯდომია ევროპის სახით.

დღეს სიმარცხე ისევ რუსეთია, დღეს რუსეთის რევოლუციის გამაგრება უპირველესი მოვალეობაა მოკლე ჩვენს თაობის. რუსეთისათვის არ არის სა-კმაო ის ფიზიკური, მატერიალური და სულიერი რესურსები, რომელიც მას აკმაყოფილებდა ბუდო-ნის მფრინვე ჯარის ასამოძრაებლად. ევროპის წიაღში რამდენიმე მილიონი ჯარია მომწყვდეული და ამის საწინააღმდეგოთ ასეთივე მილიონებია სა-ჭირო.

მართალი იყო ამხ. სოსო გელდენიშვილი, რომელმაც ჩვენს ერთს კრებაზე განაცხადა: მთელს ევროპაში ფაქტურად სააღყო წესებია გამოცხა-დებული, ჩვენ დიდი ომის წინაშე ვართ თუნდაც ამ დიდი ომების სახელი რევოლუცია იყოს.

დაიღ, ჩვენი მომენტი ომის მომენტია. ომს ერთი ხასიათი აქვს: არ უყვარს, არც ეპოლეტები და

სწრაფი მიზნებისათვის დატესტულ ზოგადი ტრენინგის და აირაპეტოს მიუხაზის თითო თვით დაბარებულა.

— **დახმარება მცხეთის სახალხო სახლს.** თანხმად მცხეთის აღმასკომის შემადგომლობისა, კომისიამ მცხეთის სახალხო სახლის დასაზღვრებად გარდა—300 მილ. მან.

— **სახალხო სახლის წევრების დანიშვნა.** დასავლეთ საქ. ოლქის სასამართლოს წევრად დანიშნა ანზ. აფხაძე.

— **შატაბის დაწესების შესახებ.** სრ. საქ. ცენტ. აღმასკომ. კომიტეტმა მიიღო შრომის სახ. კომისიისათვის მიერ წარმოდგენილი პროექტი შატაბის დაწესების შესახებ.

— **მატყლის დამზადება.** ა. კ. გარეშე საქმეთა კომისიისათვის გასცა გასაკარგულმა ყველა თავის ქვეყნებზე სამუშაო დაწესებულებებში, რომ მატყლის დამზადების სეზონის გასვლის გამო შეაჩერონ მატყლის დამზადება 1 ნოემბრამდე.

— **პენსიონერებისათვის.** სოც. უზრ. სახ. კომისიისათვის 15 აპრილიდან 1-ლ. ოქტომბრამდე პენსიონერებისათვის გადაუხადა 9,761,715,000 მ.

— **ფარმაცევტთა დათვალვები.** ფარმაცევტულ განყოფილების დათვალვებმა ამ ჟამად აღწევს 175,600 მან. ჩერკოვსკი.

— **ქუთაისში ბავშვთა შემოწმება.** მიმდინარე წელს შემოწმებული იქნა ჯანმრთელობის მხრივ 12,244 ქუთაისელი ბავშვი.

— **შეღვათი წყალზე.** უმუშევართა დამზღვევის განყოფილებამ დაიწყო მოწოდების გაცემა იმ უმუშევრებზე, რომლებსაც მიეცათ შეღვათი წყლით სარგებლობა.

— **შრომის ბირჟა.** 1 ოქტ. შრომის ბირჟაში აღრიცხავენ გამოცხადდა—544 უმ. ახლად ჩაეწერა—97 უმუშევარი გაგზავნილია სამუშაოზე 62 უმუშ.

— **მისხალმეველი წერილები.** საქ. აღმასკომიტეტმა კომიტეტმა, კომისიისათვის საბჭო, კომპარტიის ცეკამ და სოც. უზრ. კომისიისათვის ბორჩლოს მხარის საურთიერეთი დამხ. გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობის თავჯდომარე მუსტაფა ალიევისაგან მიიღო მისხალმეველი წერილები.

— **ნაძალადევის კომპარტიისათვის.** ა. კ. მომხმარებელ საზოგადოებამ გადაწყვიტა ნაძალადევის კომპარტიისათვის გაეხსნა საყარბო, საიდგანო რკინის გზელ მუშა-მოსამსახურეთ იდე ფასებში მიეცემა ხორცი.

— **დახმარება სომხეთს.** სომხეთის დამხმარე კომიტეტმა პარიზიდან სომხების დამხმარე კომიტეტის თავჯდომარემ პოლოსა ნუბარაშვისაგან მიიღო 100 გირ. სტერლინგი სომხეთის სასოფლო-მეურნეობის აღსადგენად.

— **ხიდაღვან გადვარდნა.** 31 ოქტომ. სალამოს 7 საათზე რკინის გზის ლიანდაგის ხიდიდან გადვარდა შემთხვევით მოქ. არმატირ ართი-ნიანცი, რომელიც მოთავსებულია არამიანციის საავადმყოფოში.

— **დაჭრა.** 31 ოქტ. ღრმა ღელეში მცხოვრებმა მხ. ბარბურკინმა განუცხადა მილიციას, რომ 30 ოქტ. ვინმე ნიკოლოზ კანდელაკს რევოლვლის ტყვიით დაუჭრა მისი ცოლი ანა შუბრიკინისა, შემდეგ გაქცეულა და თან წაუღია 200 მილ. მან.

— **ქურდობა.** 31 ოქტ. გაქურდული იქნა გიორგი მანჯავიძის ბინა მცხ. რეს. მთავარ საავან-

ტყოფიში ეზოში—საიდანაც წაღებულია ორ მილიარდ მანეთის ღირებულის ავეჯი. ეჭვით შეპყრობილია იმავ ეზოში მცხ. ბარისი ბასილიევი.

— **დახმარება უმუშევართ.** უმუშევართა დამზღვევის განყოფილებამ ახალგაზრდა უმუშევართა სექციის უმუშევრებს დახმარებას მისცემს 5 ნოემბრიდან ხოლო 5—6 ნოემბრიდან დახმარება მიეცემა საბჭოთა მუშაკების სექციის უმუშევრებს.

— **პროფ-ნციის ცხოვრება.**

— **კოპერატივის დამზადებანი გორში.** კაპერატივის კოპერატივის მიერ სასურსათო კომისიისათვის საჭიროებისათვის თანხმად ხელშეკრულებისა დამზადებულია 20 000 ფ. თივა და 5.000 ფ. ბზე. კოპერატივი აზადდეს აგრედვე ხილს რაიონის კოპერატივთა კავშირის საშუალებით გასასაღებლად და რუსეთის ბაზარზე გასაგზავნად. ნაღდება 40 000 ფ. ზამთრის ხილი.

— **კოპერატივის მუშაობა.** გორის რაიონის კოპერატივთა კავშირი გადაკეთდა ცეკავშირის განყოფილებად. განყოფილების მუშაობა მეტად ნაყოფიერია. განყოფილებამ მოაწყო საკუთარი სახერხები ქარხანა ხილის ყუთების დასამზადებლად; ცოტა ხანში დასრულდება ხილის საწყობის შენება, დაწყებულია მეორე საწყობის შენება.

— **შურისძიების მოსახლეობა.** ბათუმში არსებულ შურის ძიების ჩვეულებასთან მიმართულ კომისიის უკანასკნელი ცნობებით, 16 ოქტომბრიდან მან შეარჩია ყველა გადაკიდებული მხარნი.

— ვალიუტის კურსი.	
2 სექტემბერი.	
ჩერკოვსკი	95.000 მ.
სტერლინგი ეფექ.	89,000 "
ჩეკი.	89,000 "
დოლარი ეფექ.	20,500 "
ჩეკი.	19,000 "
ისმალური ლირა	10,500 "
საბჭოთა ფული	13500 "

საქართველო

სტუდენტთა კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ წევრთა და კანდიდატთა საყოველთაოდ, რომ კვირას, ნოემბრის 4-ს, საღამოს 6 საათზე მოეწვევება საერთო კრება, სადაც მოხსენიება გააკეთებს მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვისა და სადაც მოხსენიება.

— **სტუდენტთა კომიტეტი.**

კვირას, ნოემბრის ოთხს საღამოს ოთხ-საათზე სოფ. კაბათეთში (სიღნაღის მხარე) ანზ. ლადო მკედლიშვილის ბინაზე შესდგება კაბათეთის მემარცხ. სოც. ფედერალისტთა სარგოვ. პარტიის კრება. ასარჩევია დელეგატი 7 ნოემბრის კონფერენციისათვის. კრებას დაესწრება ტფილისიდან ჩამოსული მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი.

შაბათს ნოემბრის 3-ს, საღამოს 5 საათზე, მუშტაბის შესახვევი № 11, ბაქრაძის ბინაზე შესდგება ტფილისის სოც. ფედ. სარ. პარტიის პირველი რაიონის წევრთა კრება. ასარჩევია დელეგატი 7 ნოემბრის კონფერენციისათვის.

საქართველოს კულტურის სახლი მოსკოვში

რამდენიმე თვის წინათ ქ. მოსკოვში გაიხსნა „საქართველოს კულტურის სახლი“.

მსგავსი უწყვეტის დაარსების იდეა დიდი ხანია რაც მომწიფებული ყოფილა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ წევრებში და მხოლოდ უკანასკნელი თვეების განმავლობაში შეიქმნა შესაძლებელი ამ იდეის რეალიზაცია.

დიდი ქალაქების საერთო ცხოვრება ხშირად ანალოგიურია იმ მხრივ, რომ ყველა მათგანს ახასიათებს მცხოვრებთა მრავალგვარობა და სიკრულე ეროვნების მიხედვით, პატარა ეროვნული ჯგუფების საბოლოო ბედი, ასეთ ქალაქებში უმორჩილებად დიდი კულტურული ერის კულტურულ ვითარებას, რამდენადაც ეს პატარა ეროვნული ერთეულები საგრძნობლად დაცული არიან თავისი სამშობლოს ცივილიზაციიდან და ნაციონალური კულტურის უშუალო გავლენის გარეშე იმყოფებიან.

მოსკოვი ამ მხრივ ცხადია არ შეადგენს გამონაკლისს. მისი შემოთიან კალთებში მრავალი ერის წარმომადგენლები იფარვენ თავს და გარკვეული მიზეზების გამო, რომ ისინი მოსკოვის მუდმივი „ობიექტებია“ რჩებიან უსათუოდ რუსულ კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს მოსკოვის ქართველ მცხოვრებთა კულტურული მდგომარეობა.

მრავალი დროის განმავლობაში, ეკონომიური და იდეური მიზეზების გამო, ბევრი ქართველი გადმოსახლებულია მოსკოვში და საკუთარი კერა შეუქმნიათ. ქართველები ღრმად მოსკოვისკენ განსაკუთრებით გახშირდა უკანასკნელ რევოლუციების დროის განმავლობაში და დღეს მათი საერთო რაოდენობა საქაოლ მსხვილ რიცხვს წარმოადგენს. დაახლოებით ეს რიცხვი, რომ ავიღოთ მხოლოდ რეგისტრაციის ქვეშ გატარებულნი, ათი ათას სულზე მეტს უდრის. საქართველოს ქართველ

ცხადია ეს, სრულიად არ არის საქმარისი იმ მრავალ მიზანთა შორის, რომელიც „საქართველოს კულტურის სახლს“ უნდა ჰქონდეს დასახული.

„სახლის“ დაარსების ძირითადი ინიციატივა როგორც გადმოგვცეს, ეკუთვნის საქართველოს განათლების კომისიას. ყოფილ აკადემიურ წარმომადგენლობას და საქართველოს სტიპენდიანტ-სტუდენტთა ბიუროს. დღეს, ვერ წარმოგვიდგენია რატომ, აკადემიური წარმომადგენლობა გაუქმებულია მოსკოვში, ქართული აკადემიური საქმეებისათვის სპეციალურად აღარაიქნა მოწოდებული და არაიქნა აქვს განსაკუთრებული მინდობილობა იმავ წმინდა აკადემიური მუშაობათა ხელმძღვანელობისათვის. სახლის ფაქტობრივ ხელმძღვანელობა დარჩა მხოლოდ სტუდენტთა ბიუროს, რომელიც დიდი სურვილების მიუხედავად, ვერ ახერხებს ყველა იმ ამოცანის გადაჭრას, რისთვისაც მოწოდებულია „საქართველოს კულტურის სახლი“. ეს გასაკვირვებელი არაა. ბიუროს სტუდენტთა საორგანიზაციო საქმეები აქვს და ამას ზედ ემატება ის გარემოებაც, რომ მას არა აქვს მოსკოვის ქართველთა შორის კულტურული მუშაობისათვის საქართველოს მთავრობის მინდობილობა.

საერთოდ რამდენი მიზეზიც უნდა დავასახელოთ, ერთი რამ ცხადია: მოსკოვის „საქართველოს კულტურის სახლს“ სჭირდება ხელმძღვანელობა და თაოსნობა. არ არის საქმარისი იყოს მხოლოდ სახლის მოსამსახურეთა შტატი. ჩვენ ორი თვეა რაც მოსკოვში ჩამოვიდით და დღემდე არ ვიცო ამ „სახლს“ აქვს თუ არა თავისი სამომავლო პროგრამა, აქვს თუ არა წესდება და ბრძენება თუ არა ვინმე მის წევრად? ყოველივე ეს ჩვენ არ ვიცით და აშკარა ეს ჩვენი ბრალი სრულიად არ არის, არამედ მთელი დანაშაული „სახლის“ ხელმძღვანელთა მიუძღვის, რომლებიც ანდენი ხნის განმავლობაში ერთხელაც არ სცდილან მოეწვიათ დაინტერესებულ პირთა კრება და „სახლის“ მომავალი ბედი გამოერკვიათ.

ამ დაწესებულებას უჭირავს ორი დიდი დარბაზი და რამდენიმე ოთახი. მთელი ეს სივრცე ფაქტობრივად საერთო—საქართველთა გადაქცეული (ჯერ სცხოვრობდნენ გამოფენის მომწყობნი პირები. შემდეგ სტუდენტები, ეხლა სცხოვრობს ქართული და გამოფენის კომიტეტის ზოგიერთი თანამშრომელი). ეს „სახლი“ კულტურის სახლია და მისი საერთო საცხოვრებელ ბინებად გადაქცევა ყოველად დაუშვებელია.

დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამა შემუშავდეს განსაზღვრული მეთოდი, რომლის მიხედვითაც უნდა სწავლობდეს მოსკოვში მუშაობა მოსკოვის ქართველ მცხოვრებთა შორის, უნდა გამოირკვეს რა დამოკიდებულებაში იქნება მოსკოვის „სახლი“ საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან, უნდა მოეწყოს ქართული წიგნების წიგნთსაცავი და სამკითხველო, სადაც უნდა მოდიოდეს ტფილისის ყოველგვარი გამოცემები, საქარა გამოვიდნენ აქ მომქმენი ქართული სტუდია და მოხალისეთა დანი ლიტერატურული მუშაობა უნდა აწარმოვოს განსაკუთრებით მოსკოვის ქართველთა სტუდენტობაში, რისთვისაც საქარა დაჩქარებით შეიქმნას ადგილობრივი ქართველ სტუდენტთა კავშირი, რომელიც თავის წიაღიდან გამოყოფს სხვა და სხვა სამეცნიერო სალიტერატურო წრეებს.

მე აღარაფერს ვამბობ სახლის ტექნიკური ორგანიზაციის შესახებ, ვინაიდან ანბანური ქვეშარტება, რომ მას უნდა ჰქონდეს წესდება, სამოქმედო გეგმა, ყველგან წევრთა კადრი, მართებლობა განსაზღვრული ორგანო და ემორჩილებოდეს ერთ უმაღლეს ინსტანციას.

გ. თავჯარაშვილი.
მოსკოვი, ოქტომბრის 22.

პროფესორი

სოფ. ურთა (ცაიშის თემი) ხსენებულია სოფელი ცაიშის თემისა აღმოსავლეთი ნაწილია, რომელიც თემის ცენტრიდან სამი ვერსითა დაშორებული და ოუ ცაიში კულტურულად მის მიზნებზე თემებზე მაღლა სდგას, მისი ნაწილი ურთა ძალიან ჩამორჩენილი იყო, ვინაიდან აქ არ არსებობდა არავითარი კულტურული დაწესებულება. მხოლოდ 1918 წლის ნოემბერში აქ ადგილობრივი მცხოვრები სოლომონ დავარჯულიან, დაუკითხავად ყოველი მშრომელი წრეებისა დაარსა პირველ დაწესებულება სკოლა, რომელიც კერძო სახით იყო მავრამ უფასოდ ასწავლიდა ბავშვებს რის გამო საქაოლ რიცხვი მოწაფეობისამ მოიყარა თავი; შემდეგ მისი ინიციატივით ადგილობრივი მცხოვრებთა კრებამ საჭიროდ სცნო აქ სკოლის დაარსება და მხარის ერობის განათლების განყოფილებამ ნება დართო და სკოლის არსებობასაც ჩაეყარა საფუძველი 1919 წ. ოქტომბერში.

ამის შემდეგ აქ არსებობს სკოლა, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მას მთავრობამ ვერ აღმოჩინა სათანადო დახმარება და თვით ხალხიც მცირე რიცხოვანი იყო და შერბონა აშენება ვერა შესძლეს. ამის გამო მე მქონდა 1921 წლის გაზ. „ხალხის მეგობრის“ რამდენიმე ნომერში წერილები, სადაც ვითხოვდი მხარის განათლების განყოფილებიდან ჯეროვანი ყურადღებას, თვით ცაიშის თემის ერობის გამგეობას დახმარების აღმოჩენას, მაგრამ თხოვნები, თხოვნებად რჩებოდა, ურთის

სკოლა კი უშენობოდ, რის გამო თვით მასწავლებელიცა და მოწაფეები განაგრძობდნენ მუშაობას.

ახალმა ხელისუფლებამ ურთის სკოლის საკუთრებას თუ ისე სასურველ წესდებზე დააყენა, მთავრამ კეთილი ინება და ხსენებულ სკოლას მისი უფასოდ შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ცაიშის ეკლესიას და სამონასტრო შენობას ეძახდნენ. სკოლა საქაოლ დიდია; ხუთი ოთახით, კარ-ფანჯრებით და საქაოლ მინებით მოწყობილი. რამაც ასეთი ბედნიერება ელირსა სკოლას, რასაკვირველია ადგილობრივი მკვიდრნი ამას დიდის ხალხით შეგებენ და შენობა მაშინათვე იქნა დარღვეულ წაღებული ურთაში და აღაშენეს იქ, სადაც ურამოდენიმე ხნის წინათ იყო არჩეული სკოლისთვის მშენებელი ეზო.

ეხლა მხოლოდ ის დავარჯენია, რომ არსებული სკოლა არის ოთხ წლიანი, სადაც ამჟამად იმდება 80-ამდე მოსწავლე და მხოლოდ ერთი მასწავლებელი და ცოდვილობს.

მე გვინდა ეს არ არის საღი პედაგოგიური მიზანშეწონილება, ამიტომ კარგი იქნებოდა, მთავრობას „ქარგი ექნა და მარილიც მოეყარა“ მეორე მასწავლებელიც დაენიშნათ ურთაში.

ამის იმედი ურთელს ჯერ კიდევ არ დაკარგვიათ და შეუადგომლობაც აღძრეს მხარის განათლების წინაშე. საიდანაც არის დაპირება.

ვიმედოვნებთ, რომ ხსენებული განყოფილება კეთილს ინებებს და ხსენებულ სკოლას არაუტეხს მეორე მასწავლებელს, რომელიც იქნება საღი პედაგოგიური მიზანშეწონილება და ამავე დროს დიდი ბედნიერება, ურთის სკოლისა, მოწაფეებისა და მასწავლებლისათვის და მასთან დიდი სასიხარულო—ადგილობრივი მკვიდრთათვის როგორც ერთ-ერთი კულტურული დაწესებულება, ეს რა გორც ასეთი ტიპის სკოლა—ისეთი კუთხისათვ როგორც—ხსენებული სოფელი.

სოლო ცაიშელი.

საქართველო

წარმოდგენა მუშებისათვის.
რუსთაველის თეატრი. დღეს, შაბათს ნოემბრის 3-ს პროფკავშირის წევრთათვის მიღის შ. და დიანის „გუშინდელნი“. დადგმა მიხ. ქორელისა.

კვირას, ნოემბრის 4-ს მესამედ „ინტერესთაშაში“. თარგ. ა. გაფრინდავილის. მონაწილეობს პირველი შემადგენლობა შემდეგი კომპლექტით: კრისპინო—გიორგი დაეოშვილი, ლეონდო—დათ. ჩხეიძე. დადგმა კ. მარჯანიშვილის.

სამშაბათს, ნოემბრის 6 პირველად განახლების შემდეგ ამ სეზონში ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“.

ოთხშაბათს პირველად ამ სეზონში „ცხვრე წყარო“. ხორო, ორკესტრი და ბალეტი, დადგ. მარჯანიშვილის.

სახალხო სახლი. კვირას, ნოემბრის 4-ს ქართულ დრამის მიერ მეორედ ვინიჩენკოს რევოლუციონური პიესა „ცოდვა“. თარგ. შ. გომართის. დასადავს მ. ლემაიზა. შემდეგი წარმოდგენა „მეფის დალაქი“.

სახელმ აკად. ო. ერის თეატრი. დღეს, პროფ. კავშირთა წევრთათვის „ფაუსტი“ ვალბურგევის ლამით.

კვირას, ნოემბრის 4-ს „ქარმენი“.

რუსული დრამის სეზონის გახსნა სახალხო სახლში. ნოემბრის 1-ს სახალხო სახლში გაიხსნა რუსული დრამის სეზონი, დადგმულ იქნა ლუნაჩარსკის ცნობილი პიესა „განათავისუფლებული დონ-კიხოტი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საზოგადოებაც მრავლად დაესწრო. პიესა დაიდგა რეჟისორის შესტოვის მიერ.

მომდერალთა გუნდი. ნაძალადევი პლენარის ვის (სახ.) თეატრთან არსებობს მომდერალთა გუნდი; სწავლობს მეცადინეობა სიმღერების შესასწავლად. მომავალში ხშირად გაიმართება ამ თეატრში მათი სიმღერა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი	
„ტ რ ი ბ უ ნ ა“	
5- ემბრის 1-დან ელირება:	
პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	9 000.000 „
ცალკე ნომერი	500.000 „